

ეპტისა სერვისიოს დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის
ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე.....	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	12
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13
5. ძირითადი საშუალებები	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
7. გადახდილი ავანსები	14
8. ფული და ფულის ექვივალენტები	15
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
10. საგადასახადო ვალდებულებები.....	15
11. ამონაგები	20
12. მომსახურების თვითღირებულება	20
13. დასაქმებულთა ანაზღაურება	21
14. იჯარის ხარჯი.....	21
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი.....	21
19. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები.....	22
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	23

ექტისა სერვისიოს დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 2018 წელი, 31 დეკემბერი

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	237,370	317,573
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,370	317,573
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		5,750	8,760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,076,710	1,641,181
გადახდილი ავანსები	7	124,303	123,043
ფული და ფულის ექვივალენტები	8	404,640	428,707
სულ მიმდინარე აქტივები		2,611,403	2,201,691
სულ აქტივები		2,848,773	2,519,264
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სხვა რეზერვები		4,314,171	4,547,407
დაგროვილი ზარალი		(2,447,537)	(3,089,230)
სულ კაპიტალი		1,866,634	1,458,177
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	729,134	874,286
საგადასახადო ვალდებულებები	10	253,005	186,802
სულ მიმდინარე ვალდებულებები		982,139	1,061,088
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,848,773	2,519,264

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მინდობილი
პირი

ანტონიო ალფრეზ ბურილიო

ეპტისა სერვისების დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 2018 წელი, 31 დეკემბერი

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	237,370	317,573
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,370	317,573
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		5,750	8,760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,076,710	1,641,181
გადახდილი ავანსები	7	124,303	123,043
ფული და ფულის ექვივალენტები	8	404,640	428,707
სულ მიმდინარე აქტივები		2,611,403	2,201,691
სულ აქტივები		2,848,773	2,519,264
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სხვა რეზერვები		4,314,171	4,547,407
დაგროვილი ზარალი		(2,447,537)	(3,089,230)
სულ კაპიტალი		1,866,634	1,458,177
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	729,134	874,286
საგადასახადო ვალდებულებები	10	253,005	186,802
სულ მიმდინარე ვალდებულებები		982,139	1,061,088
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,848,773	2,519,264

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მინდობილი
პირი



ანგარიშ ალფრეზ ბურილიო

ექტისა სერვისის დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება - 2018 წელი, 31 დეკემბერი

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2018
ამონაგები	11	11,262,644
მომსახურების თვითღირებულება	12	(8,577,927)
სრული მოგება		2,684,718
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(871,707)
იჯარის ხარჯი	14	(190,886)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	(908,748)
საოპერაციო მოგება		713,377
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(33,731)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(37,953)
წმინდა მოგება		641,693
მთლიანი სრული მოგება		641,693

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	4,547,407	(3,089,230)	1,458,177
2018 წლის მოგება	-	641,693	641,693
ცვლილება რეზერვებში	(233,236)	-	(233,236)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	4,314,171	(2,447,537)	1,866,634

1. ზოგადი ინფორმაცია

„ეპტისა სერვისის დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი“ (შემდეგში „კომპანია“) უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2011 წლის 8 სექტემბერს, არქიტექტურული საქმიანობების ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404909943. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., N 75

კომპანია მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ეწევა საკონსულტაციო - საზედამხედველო საქმიანობას.

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიას ყავდა ერთი მფლობელი, რომელიც ასევე არის დამფუძნებელი - შპს ეპტისა სერვისის დე ინჰენიერია, ესპანეთი (B85097962)

	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
შპს ეპტისა სერვისის დე ინჰენიერია, ესპანეთი (B85097962)	100.00%	100.00%
სულ	100.00%	100.00%

კომპანიის დირექტორია ხოსე იგნასიო სორიანო არტაჩო (ესპანეთი, A3350535100, AAB356217)

2018 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 1 იანვარს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 20 და 21, შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველოს სხვადასხვა რეგიონები: აჭარა, სამეგრელო, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა ლეჩხუმი, შიდა ქართლი, კახეთი და სხ

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე შესადარისი მონაცემები მოცემულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მს ფასს სტანდარტების მიღების ფარგლებში, მს ფასს სტანდარტების 35-ე პუნქტის „მს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად.

მს ფასს სტანდარტების შესაბამისად წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად წინა საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება. ამგვარად, იმის შეჯერება, ადრინდელი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებიდან მს ფასს სტანდარტებზე გადასვლამ როგორი გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, წარმოდგენილი არ არის. მს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც გარკვეულწილად საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება სამუშაოების შესაბამისი ეტაპის დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (საანგარიშგებო პერიოდად ამ შემთხვევაში განიხილება თვე). სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად, ხდება სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შეფასება. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, პერიოდულად გადაიხედება და, თუ აუცილებელია, იცვლება ამონაგებისა და დანახარჯების შეფასებები, მომსახურების გაწევის ოპერაციების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

კომპანიის მიერ გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები);

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
USD/GEL	2.6766	2.5922
EUR/GEL	3.0701	3.1044

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის; (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას; და (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

შემდეგ კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ გაუმჯობესებებსა და ჩანაცვლებებზე გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც ზრდიან აქტივების მომსახურების ვადას ან მათ მიერ ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. რემონტი და საექსპლუატაციო დანახარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს, გაწევისას აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადები
სატრანსპორტო საშუალებები	5-8 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და მოწყობილობა	6-8 წელი
სხვა	3-8 წელი

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

გადახდილი ავანსები

მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული ამოუღებადი თანხების ანარიცხით.

მარაგები

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები.

კომპანიას ბალანსზე აქვს მარაგები, რომელიც წარმოდგენილია საწვავის სახით, რომელიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის

ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდაუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში შემდეგ ვალუტებში: ლარი, აშშ დოლარი და ევრო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა მაგალითად დეფოლტი ან პროცენტის/ძრითადი თანხის გადაუხდელობა; ან
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა,

რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება ამოუღებელია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების შეძენას, რა შემთხვევაშიც ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის შესყიდვის დოკუმენტში მითითებული ფასი.

საგადასახადო ვალდებულებები

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ამოუღებადი თანხის ანარცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება სხვა რეზერვებისა და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან. რეზერვები მოიცავს დამფუძნებელი კომპანიისგან მიღებულ დაფინანსებას და მის ცვლილებებს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით მენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორს მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან,

საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს

საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე აღჭურვი ლობა	ავეჯი და მოწყობილო ბა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სხვა	სულ
წაშთი 01.01.2018	105,684	17,078	351,814	3,363	477,939
შემოსვლა	2,310	750	-	100	3,160
გასვლა	(11,103)	(312)	(21,728)	-	(33,143)
წაშთი 31.12.2018	96,890	17,516	330,086	3,463	447,955

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა					
01.01.2018	(42,793)	(8,002)	(108,490)	(1,081)	(160,366)
ცვეთა წლის განმავლობაში	(14,802)	(1,943)	(49,154)	(452)	(66,352)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	7,008	183	8,941	-	16,132
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2018	(50,587)	(9,762)	(148,703)	(1,534)	(210,586)

ნეტო საბალანსო

ღირებულება

ნეტო საბალანსო					
ღირებულება 01.01.2018	62,891	9,076	243,324	2,282	317,573
ნეტო საბალანსო					
ღირებულება 31.12.2018	46,303	7,754	181,383	1,929	237,370

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ, ამოუღებადი თანხების ანარიცხების გარეშე, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,217,100	1,640,710
სხვა მოთხოვნები	270,645	471
სულ	2,487,745	1,641,181
ანარიცხი ამოუღებადი თანხებისთვის	(411,035)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,076,710	1,641,181

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს დებიტორულ დავალიანებებს კონტრაქტორებთან, რომლებიც აღიარდება გარიგების ფასით, ცალკეული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. დავალიანების ხანდაზმულობა უმეტეს შემთხვევაში არ აჭარბებს რამოდენიმე თვეს.

ასევე მოცემულია ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის შესახებ. ხელშეკრულებების თანახმად, დავალიანება დაფარული უნდა უყოს მაქსიმუმ 60 დღეში, შესაბამისად ის დებიტორული დავალიანებები, რომელთა წარმოექმნიდან გასულია 60 დღეზე მეტი, მიიჩნევა ვადაგადაცილებულად (ხანდაზმულად).

2018 წლის დასაწყისში კომპანიამ შექმნა ანარიცხები იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებზეც მათი ფინანსური მდგომარეობიდან და დავალიანების ხანდაზმულობიდან გამომდინარე კომპანიას მიაჩნია რომ ამოუღებელია.

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
არავადაგადაცილებული	1,788,708	1,509,836
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	288,816	-
31 - 60 დღემდე ვადაგადაცილებული	957	-
61 - 90 დღემდე ვადაგადაცილებული	926	-
90-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	137,694	130,874
ხანდაზმული დებიტორული დავალიანება	428,393	130,874
სულ დებიტორული დავალიანება	2,217,100	1,640,710
ანარიცხი ამოუღებელი თანხებისთვის	(140,529)	-
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	2,076,571	1,640,710

7. გადახდილი ავანსები

რაც შეეხება გადახდილ ავანსებს, ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ცალკეული მუხლებისა და 2018 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	120,959	114,178
ავანსად გადახდილი ხელფასები	3,344	8,864
სულ გადახდილი ავანსები	124,303	123,043

კომპანია გადახდილ ავანსებს აღრიცხავს, როგორც მიმდინარე აქტივებს, რადგან მოსალოდნელია შესაბამისი ეკონომიკური სარგებლის მიღება მოკლევადიან პერიოდში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისათვის:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული სალაროში	3,019	697
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	123,216	207,440
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	278,405	220,571
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	404,640	428,707

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	729,134	798,011
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	-	76,275
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	729,134	874,286

10. საგადასახადო ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს საგადასახადო ვალდებულებების ნაშთები მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ავანსად გადახდილი მოგების გადასახადი	-	(2,265)
გადასახდელი დღგ	245,911	189,044
გადასახდელი საშემოსავლო გადასახდი	772	(6,394)
სხვა გადასახდელი გადასახადები	6,322	6,418
სულ საგადასახადო ვალდებულებები	253,005	186,802

11. ამონაგები

2018 წლის შემოსავალი კატეგორიების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	11,253,498
პროექტების დიზაინის მომზადება	194,947
არქიტექტურული პროექტების ზედამხედველობა	9,482,589
არქიტექტურული პროექტების ტექნიკური მხარდაჭერა	1,575,963
შემოსავალი იჯარიდან	9,146
სულ შემოსავალი	11,262,644

საზედამხედველო პროექტებზე შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად, ნამუშევარი საათების მიხედვით. დიზაინის დაპროექტების შემთხვევაში კი შემოსავალი აღიარდება კონტრაქტით დადგენილი გრაფიკის მიხედვით. კონტრაქტის ფასი და მოგების მარჟა დამოკიდებულია კლიენტთან შეთახმებულ პირობებზე. მოგების მარჟა ძირითადად მერყეობს 18-22%-ის ფარგლებში.

ასევე კომპანიას დაკავშირებულ კომპანიაზე ქვეიჯარით გაქირავებული ქონდა საოფისე ფართი, საიდანაც მიღებული შემოსავალი ასახულია მუხლში: შემოსავალი იჯარიდან.

12. მომსახურების თვითღირებულება

2018 წელს გაწეული მომსახურების თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018
მომსახურე პერსონალის ანაზღაურება	6,021,915
პროექტთან დაკავშირებული ხარჯი	2,103,881
საცხოვრებელი და სხვა ხარჯი	346,141
ტრანსპორტირების ხარჯი	105,989
სულ მომსახურების თვითღირებულება	8,577,927

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურებამ 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 871 707,00 ლარი, რომელიც სრულად იქნა გადახდილი.

	2018
ხელფასები	820,732
ბონუსები და სხვა სარგებელი	50,975
სულ დასაქმებულთა ანაზღაურება	871,707

14. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი მოიცავს საოფისე იჯარას - თბილისის და ქუთაისის ოფისებისათვის. ასევე ავტომობილის იჯარას. 2018 წელს ჯამურად იჯარის ხარჯმა შეადგინა 190 886 ლარი.

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2018 წლისათვის შესაძლოა წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2018
საექვო დავალიანებების ანარიცხების ხარჯი	411,035
პროფესიული მომსახურების ხარჯი	88,268
ცვეთა და ამორტიზაცია	66,519
ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯი	65,943
დაზღვევის ხარჯი	60,046
საგადასახადო ხარჯი	49,539
სხვა ხარჯი	44,021
საკომუნიკაციო ხარჯი	39,326
უსაფრთხოების ხარჯი	18,305
კომუნალური ხარჯი	15,658
სამივლინებო ხარჯი	12,530
საოფისე ხარჯი	11,754
სატრანსპორტო ხარჯი	10,073
საკანცელარიო ხარჯი	7,183
საბანკო ხარჯი	6,548
მარკეტინგული ხარჯი	2,000
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	908,748

19. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები

ვალდებულებები - კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბერს არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები.

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას სჯერა, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - ისეთ განვითარებად ბაზრებს, როგორც საქართველოა, ახასიათებთ განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებული რისკები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულირება, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, ისევ სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ექვემდებარება. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ისევე როგორც სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2019 წელს საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 182 720 ლარით, სხვა რეზერვების გაზრდის ხარჯზე.